საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 1 20 0001158405

04/12/2020

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.
4. ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.

5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი;
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე;
7. ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სამართლის სფეროში;
ბ) სასურველია საერთო სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას მხარის წარმომადგენლად მონაწილეობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
გ) სასურველია განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
დ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - B2 დონეზე; ქართული ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - C2 დონეზე;
ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი’’;
ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
დ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
ე) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
ვ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ”;
ზ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ”;
თ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ”;
ი) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ’’;
კ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ”;
ლ) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ’’;
მ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ”;
ნ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ო) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
პ) „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანება;
ჟ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
რ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ს) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.
9. იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ადმინისტრაციულ წარმოებებში/სასამართლო დავებზე დადგენილი წესით ცენტრის წარმომადგენლობა;
ბ) ადმინისტრაციულ წარმოებებში/სასამართლო დავებზე წარსადგენი დოკუმენტების მომზადება;
გ) სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისთვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;
დ) სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებში და კერძო დაწესებულებების აგრეთვე, მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებზე პასუხის მომზადება, მათზე რეაგირება და დადგენილი წესით, მომზადებული წერილების პროექტების ვიზირება;
ე) სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობის სრულყოფისა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით წინადადებების მომზადებაში ჩართულობა;
ვ) სამართლებრივი დავების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაში ჩართულობა;
ზ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) შეზღუდულ ვადებში მუშაობის უნარი;
ბ) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
გ) დეტალების მიმართ დაკვირვებულობის უნარი;
დ) საქმიანობის კოორდინაცია;
ე) დროის ეფექტური მართვა;
ვ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
ზ) ანალიტიკური აზროვნება;
თ) გუნდური მუშაობა.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს გახდეს ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორი, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილება ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობაში.
12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) კანდიდატის შეფასება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.
13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, ანალიტიკური აზროვნების უნარის, ინგლისური ენის კომპეტენციისა და მოტივაციის გათვალისწინებით.
14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
15. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
17. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
18. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ